მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ან დეპოზიტზე 3 თვეზე მცირე ვადით.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

ლივიდენტები

ლივიდენტები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ნებისმიერი ლივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 33).

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 11-ში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა და ამორტიზაციის კოეფიციენტი: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობისა და ამორტიზაციის კოეფიციენტების შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

იჯარის გაგრძელების უფლება: როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება: სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად გახარჯვადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან: კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,168,937	(111,917)	1,057,020
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	138,310	111,917	250,227

6. შემოსავალი

2020 და 2019 წლებში კომპანიამ შემოსავალი გამოიმუშავა ინსპექტირების მომსახურებიდან. 2020 წლიდან კომპანიამ დაამატა მომსახურების ახალი მიმართულება - გზების ინსპექტირება. კომპანიის შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
კერძო კომპანიები	10,235,098	2,400,035
იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტები	2,412,195	4,003,020
კახეთის მხარის მუნიციპალიტეტები	1,729,216	2,908,453
სულ შემოსავალი	14,376,509	9,311,508

7. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

კომპანიის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ხელფასი	7,248,258	3,218,796
ბონუსი	282,524	1,019,125
დაზღვევა	72,251	26,758
სულ თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	7,603,033	4,264,679

8. საწვავის ხარჯი

კომპანიის საწვავის ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ბენზინი	714,175	447,776
დიზელი	90,706	48,104
სხვა	12,135	-
სულ საწვავის ხარჯი	817,016	495,880

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. იჯარის ხარჯი

კომპანიის იჯარის ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ავტომობილების იჯარა	515,412	267,575
ოფისის იჯარა	10,230	31,937
საცხოვრებელი ფართის იჯარა	114,647	29,794
სულ იჯარის ხარჯი	640,289	329,306

10. ქვეკონტრაქტორის ხარჯი

2020 წლის იანვრიდან კომპანიას აქვს მომსახურების ახალი მიმართულება "გზების ინსპექტირება", რომლის დანერგვის პროცესში გამოიყენა ქვეკონტრაქტორის მომსახურება. ქვეკონტრაქტორის ხარჯი 2020 წელს შეადგენს 564,088 ლარს და 2019 წელს, შესაბამისად ნულ ლარს.

11. გაუფასურების რეზერვის ხარჯი

კომპანიის გაუფასურების რეზერვის ხარჯი წარმოიქმნება საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვის ცვლილებით და 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი
1 იანვარი 2019	9,167
ზრდა წლის განმავლობაში	54,364
31 დეკემბერი, 2019	63,531
ზრდა წლის განმავლობაში	436,264
აღდგენა წლის განმავლობაში	(6,011)
31 დეკემბერი, 2020	493,784

12. ცვეთა და ამორტიზაცია

კომპანიის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	225,181	88,456
აქტივი გამოყენების უფლებით ამორტიზაცია	168,452	92,996
არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია	-	86
სულ ცვეთა და ამორტიზაცია	393,633	181,538

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. მივლინების ხარჯი

კომპანიის მივლინების ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ყოველდღიური ანაზღაურება	192,444	120,492
სასტუმროს ხარჯი	57,872	62,913
სულ ქვეკონტრაქტორის ხარჯი	250,316	183,405

14. საკონსულტაციო ხარჯი

კომპანიის საკონსულტაციო ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
იურიდიული მომსახურება	20,469	97,270
პროგრამული უზრუნველყოფა	19,051	10,125
ლაბორატორიული მომსახურება	15,475	6,414
აუდიტის მომსახურება	10,000	12,000
თანამშრომლების გადამზადება	29,402	5,200
სხვა	3,636	-
სულ საკონსულტაციო ხარჯი	98,033	131,009

15. ფინანსური ხარჯი, წმინდა

კომპანიის ფინანსური ხარჯი, წმინდა შედგება საპროცენტო ხარჯისა და საპროცენტო შემოსავლისგან. კომპანიის საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტს. ხოლო საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს „წმინდა ინვესტიცია იჯარაში“- დან დარიცხული მისაღებ საპროცენტო შემოსავალს. ფინანსური ხარჯი, წმინდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	30,709	11,257
საპროცენტო შემოსავალი	(4,346)	-
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	26,363	11,257

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

კომპანიის მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	26,157	4,960
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,640	1,675
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	9,464	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,832	3,242
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	221	43
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	46,138	9,165
საიჯარო ვალდებულება	31,711	2,449
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,759	6,696
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,503	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	165	20
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	(19,981)	(4,205)

17. სხვა შემოსავლები

კომპანიის სხვა შემოსავლები მოიცავს მცირე თანხიანი ან მოკლევადიანი პერიოდით გაცემული იჯარებიდან მიღებულ შემოსავალს, ასევე ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სათაო ოფისიდან მიღებულ მოგებას. კომპანიის სხვა შემოსავლები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ოფისის იჯარა	218,977	-
მოგება ქვეიჯარიდან	85,601	-
ავტომობილების იჯარა	50,511	-
სხვა შემოსავალი	13,394	21,465
სულ სხვა შემოსავალი	368,483	21,465

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

18. სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
საოფისე და საკანცელარიო	105,942	86,430
ძირითადი საშუალებების ჩამოწრა	63,968	937
კომუნიკაცია	58,723	63,855
კომუნალური	55,670	25,459
საკომისიო	48,615	50,961
დაზღვევა	30,420	10,076
წარმომადგენლობითი	11,718	3,655
საქველმოქმედო საქმიანობის დაფინანსება	10,778	7,958
ქონების გადასახადი	9,192	3,968
თარგმნა	4,054	-
სხვა ხარჯი	31,794	59
სულ სხვა ხარჯები	430,874	253,358

19. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 432,037 და 216,438 ლარს შესაბამისად. 2020 და 2019 წლებში გაცემული დივიდენდი განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, რომლის მოგების გადასახადი დარიცხული და დაბეგრულია ამავე პერიოდში.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოღებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

20. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
1 იანვარი 2019	21,444	105,564	36,242	49,859	33,295	16,548	262,952
ზრდა	35,656	117,655	22,378	226,743	34,604	-	437,036
შემცირება	-	(1,227)	-	(12,882)	-	-	(14,109)
ტრანსფერი	-	-	-	-	16,548	(16,548)	-
31 დეკემბერი, 2019	57,100	221,992	58,620	263,720	84,447	-	685,879
ზრდა	174,782	66,360	24,156	617,177	108,068	-	990,543
შემცირება	(10,531)	(13,689)	(9,041)	(6,033)	(77,189)	-	(116,483)
31 დეკემბერი, 2020	221,351	274,663	73,735	874,864	115,326	-	1,559,939
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2019	(4,578)	(15,491)	(5,388)	(6,125)	(6,931)	-	(38,513)
წლის ცვეთის დარიცხვა	(6,035)	(30,750)	(8,692)	(25,911)	(21,608)	-	(92,996)
გასვლა	-	290	-	1,643	-	-	1,933
31 დეკემბერი, 2019	(10,613)	(45,951)	(14,080)	(30,393)	(28,539)	-	(129,576)
წლის ცვეთის დარიცხვა	(37,429)	(43,202)	(10,067)	(110,722)	(23,761)	-	(225,181)
გასვლა	2,691	5,120	2,856	2,046	35,891	-	48,604
31 დეკემბერი, 2020	(45,351)	(84,033)	(21,291)	(139,069)	(16,409)	-	(306,153)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2019	46,487	176,041	44,540	233,327	55,908	-	556,303
31 დეკემბერი, 2020	176,000	190,630	52,444	735,795	98,917	-	1,253,786

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

20. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა ნულ ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ნული ლარი).

ძირითადი საშუალებები არაა დატვირთული როგორც უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის სასარგებლოდ.

21. აქტივი გამოყენების უფლებით

კომპანიის აქტივის გამოყენების უფლება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სათაო ოფისი	რეგიონის ოფისები	საცხოვრებელი ფართი	სულ
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2019	40,697	56,565	23,632	120,894
ზრდა	-	140,765	-	140,765
31 დეკემბერი 2019	40,697	197,330	23,632	261,659
ზრდა	401,529	37,870	80,410	519,809
შემცირება	(40,695)	(109,671)	(23,632)	(173,998)
31 დეკემბერი 2020	401,531	125,529	80,410	607,470
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2019	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(27,131)	(49,509)	(11,816)	(88,456)
31 დეკემბერი 2019	(27,131)	(49,509)	(11,816)	(88,456)
ცვეთის ხარჯი	(62,731)	(68,379)	(37,342)	(168,452)
შემცირება	40,695	27,103	23,632	91,430
31 დეკემბერი 2020	(49,167)	(90,785)	(25,526)	(165,478)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	13,566	147,821	11,816	173,203
31 დეკემბერი 2020	352,364	34,744	54,884	441,992

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე და საცხოვრებელი ფართი ქვეყნის მასშტაბით. სათაო და ერთი რეგიონის ოფისის შემთხვევაში საიჯარო გადასახდელები განსაზღვრულია აშშ დოლარის ეკვივალენტების ოდენობით ქართულ ლარში, გადახდის დღით არსებული კურსის გამოყენებით, ხოლო დანარჩენი საოფისე ფართების შემთხვევაში ქართულ ლარში.

22. წმინდა ინვესტიცია იჯარაში

კომპანიის კომპანიის წმინდა ინვესტიცია იჯარაში 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიმდინარე წმინდა ინვესტიცია იჯარაში	59,852	-
გრძელვადიანი წმინდა ინვესტიცია იჯარაში	64,566	-
სულ წმინდა ინვესტიცია იჯარაში	124,418	-

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. წმინდა ინვესტიცია იჯარაში (გაგრძელება)

კომპანიამ 2020 წელს აღებული სათაო ოფისის იჯარის ნახევარი გასცა ქვეიჯარის ხელშეკრულებით. წმინდა ინვესტიცია იჯარაში ცვლილება 2020 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020
1 იანვრის მდგომარეობით (თავდაპირველი აღიარებისას)	-
ზრდა	143,631
საპროცენტო შემოსავალი	4,346
გადახდები წლის განმავლობაში	(33,023)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	9,464
31 დეკემბრის მდგომარეობით	124,418

23. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბენზინი	41,584	27,366
დიზელი	9,928	5,211
სხვა	163	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	51,675	32,577

სასაქონლო მატერიალური მარაგები არაა დატვირთული როგორც უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის სასარგებლოდ.

24. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,966,217	2,464,967
წინასწარ გადახდები	92,026	42,102
სხვა მოთხოვნები	3,006	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(493,784)	(63,531)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,567,465	2,443,538

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა იხილეთ შენიშვნა 11.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

25. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,088,347	971,202
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	7,079	181,057
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1,807	1,323
შეზღუდული ფული*	-	219,896
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,097,233	1,373,478

*შეზღუდული ფულადი სახსრების შედგება კომპანიის მომსახურე ბანკის მიერ დროებით გაყინულ ფულად სახსრებისგან, რომელიც აუცილებელია კომპანიის მიერ სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად.

26. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის შეადგენს ნულ ლარს.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 2,448,211 ლარის დივიდენდი (2019 წელი 1,226,479 ლარი). ნაღდი ფულით გადახდილმა დივიდენდმა 2020 წელს შეადგინა 2,048,500 ლარი (2019 წელი 658,500 ლარი).

27. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	192,518	99,411
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	338,325	76,534
სულ საიჯარო ვალდებულება	530,843	175,945

საიჯარო ვალდებულების ცვლილება 2020 და 2019 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
1 იანვრის მდგომარეობით (თავდაპირველი აღიარებისას)	175,945	120,894
ზრდა	577,840	140,765
მოდიფიკაცია	(29,229)	-
შემცირება	(55,312)	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	30,709	11,257
გადახდები წლის განმავლობაში	(200,821)	(99,420)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	31,711	2,449
31 დეკემბრის მდგომარეობით	530,843	175,945

28. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მიღებული ავანსები	765,446	962,478
სავაჭრო მოთხოვნები	154,544	27,140
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	276,934	67,402
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,196,924	1,057,020

29. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები შედგება მოგების გადასახადისა და დამატებული ღირებულების გადასახადებისგან და 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია 294,595 და 250,227 ლარის შესაბამისად.

30. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და საფასურთან დაკავშირებულ რისკებს),
- ასევე საკრედიტო რისკებს, და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ქვემოთ წარმოდგენილი კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებული საკრედიტო რისკთან:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24	2,472,433	2,401,436
ფული და ფულის ეკვივალენტები	25	1,095,426	1,152,259
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		3,567,859	3,553,695

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

30. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან:

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2020			
აშშ დოლარი	167,385	410,651	(243,266)
ევრო	-	-	-
სულ	167,385	410,651	(243,266)
31 დეკემბერი 2019			
აშშ დოლარი	478,045	8,266	469,779
ევრო	-	-	-
სულ	478,045	8,266	469,779

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2020	2019
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	173,411	145,893
ევროს 30%-ით გამყარება	-	-
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(173,411)	(145,893)
ევროს 30%-ით გაუფასურება	-	-

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

30. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 და 2019 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2020	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,472,433	-	2,472,433
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	59,852	64,566	124,418
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,097,233	-	1,097,233
სულ ფინანსური აქტივები	3,629,518	64,566	3,694,084
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	431,478	-	431,478
საიჯარო ვალდებულება	192,581	310,268	502,849
სულ ფინანსური ვალდებულებები	624,059	310,268	934,327
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,005,459	(245,702)	2,759,757

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,401,436	-	2,401,436
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,373,478	-	1,373,478
სულ ფინანსური აქტივები	3,774,914	-	3,774,914
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	94,542	-	94,542
საიჯარო ვალდებულება	99,411	76,534	175,945
სულ ფინანსური ვალდებულებები	193,953	76,534	270,487
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,580,961	(76,534)	3,504,427

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

31. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,097,233	1,097,233	1,373,478	1,373,478
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,475,439	2,475,439	2,401,436	2,401,436
საიჯარო ვალდებულება	192,518	192,518	99,411	99,411
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	431,478	431,478	94,542	94,542

32. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 27-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს: მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლოებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი:

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციების შესახებ:

	2020		2019	
	იჯარის ხარჯი	ძირ. საშ. შეძენა	იჯარის ხარჯი	ძირ. საშ. შეძენა
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	3,000	12,320	9,000	-
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	640,289	1,253,786	329,306	556,303

	2020	2019
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება და სხვა განაცემები	1,033,399	540,843

33. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 31 აგვისტოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ გასცა დივიდენდი 295,579 ლარის ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.